შპს ელესჯი სოლუშენს

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2023 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3

სრული შემოსავლის ანგარიშგება 4

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 5

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 7
2. მომზადების საფუძვლები 7
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 8
4 ძირითადი საშუალებები 8
5 ფული და ფულის ეკვივალენტები 9
6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 9
7 მიღებული ავანსები 9
8. საგადასახადო ვალდებულებები 9
9. ამონაგები 10
10. რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება 10
11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 10
12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 11
13. პირობითი ვალდებულებები 11
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 12
15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 12

შპს ელესჯი სოლუშენს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	დეკემბერი 2023	დეკემბერი 2022	დეკემბერი 2021
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	354,388	176,643	168,162
სულ გრძელვადიანი აქტივები	**354,388**	**176,643**	**168,162**
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	523,058	264,248	292,451
მარაგები	4,139	1,769	1,448
წინასწარ გადახდილი ხარჯები	-	-	-
გაცემული ავანსები	12,633	20,160	32,385
დაბლოკილი ფული	-	-	-
ფული დეპოზიტზე	-	-	-
ფული და ფულადი ექვივალენტები	365,283	482,970	420,024
სულ მიმდინარე აქტივები	**905,112**	**769,148**	**746,307**
სულ აქტივები	**1,259,500**	**945,790**	**914,469**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**-**	**-**	**-**
მიღებული ავანსები	130,599	77,399	246,942
საგადასახადო ვალდებულებები	66,119	34,414	51,902
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-	62	967
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**196,718**	**111,875**	**299,810**
სულ ვალდებულებები	**196,718**	**111,875**	**299,810**
საწესდებო კაპიტალი	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	1,062,781	833,915	614,658
სარეზერვო კაპიტალი	-	-	-
	-	-	-
სულ კაპიტალი	**1,062,781**	**833,915**	**614,658**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**1,259,500**	**945,790**	**914,469**

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2024 წლის 27 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

10-14 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ელესჯი სოლუშენს

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	დეკემბერი 2023	**დეკემბერი2022**
შემოსავალი რეალიზაციიდან	4,053,347	3,346,443
თვითღირებულების ხარჯები	(1,595,384)	(1,424,561)
საერთო მოგება	**2,457,964**	**1,921,882**
სხვა შემოსავლები	-	-
მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები	(96,308)	(50,212)
ადმინისტრაციული ხარჯები	(2,001,309)	(1,221,388)
საოპერაციო მოგება	**360,347**	**650,282**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	35,776	29,512
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯი	-	-
უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა ზარალი	(15,968)	(95,898)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	71	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(26,441)	(25,475)
მოგება დაბეგვრამდე	**353,785**	**558,421**
მოგების გადასახადის ხარჯი	(24,047)	(65,289)
წმინდა მოგება	**329,738**	**493,132**

10-14 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ელესჯი სოლუშენს

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	2023 წელი	2022 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	**353,785**	**558,421**
კორექტირებები:	-	-
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი	15,968	95,918
ცვეთა და ამორტიზაცია	48,293	58,339
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	(35,776)	(29,512)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯი	-	-
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე საოპერაციო ზარალი	**382,270**	**683,166**
საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები	-	-
ცვლილება ძირითად საშუალებებში	(226,038)	(66,820)
ცვლილება ავანსებსა და სხვა მიმდინარე აქტივებში	58,359	(157,640)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(2,953)	2,090
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(259,522)	(38,472)
ცვლილება სხვა მიმდინარე ვალდებულებებში	31,705	(17,488)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	**(16,180)**	**404,835**
გადახდილი პროცენტი	-	-
გადახდილი მოგების გადასახადი	(24,047)	(65,289)
მიღებული პროცენტი	35,776	29,512
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(4,450)**	**369,058**
საინვესტიციო საქმიანობა	-	-
სესხების გაცემა	-	-
გაცემული სესხების მიღება	-	-
გაცემული დივიდენდი	(100,872)	(273,875)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-
გაცემული სესხების დაფარვა	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(100,872)	(273,875)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები	-	-
სესხის მიღება	-	-
მიღებული სესხების დაფარვა	-	-
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(105,322)	95,183
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(12,365)	(32,237)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	482,970	420,024
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**365,282**	**482,970**

10-14 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	*დაგროვილი მოგება*	*სულ კაპიტალი*
2021 წლის 1 იანვარს	-	88,899	88,8
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	783,736	783,7
გადახდილი დივიდენდი		(257,976)	(257,9
2021 წლის 31 დეკემბერს	-	614,658	614,6
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	493,132	493,1
გადახდილი დივიდენდი		(273,875)	(273,8
2022 წლის 31 დეკემბერს	-	833,915	833,9
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	329,738	329,7
გადახდილი დივიდენდი		(100,872)	(100,8
2023 წლის 31 დეკემბერს	-	1,062,781	1,062,7

10-14 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ელესჯი სოლუშენს(შემდგომში „კომპანია") დარეგისტრირებულია 2020 წლის 02 ივნისს და საქმიანობას ეწევა „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად . კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო მენეჯმენტი, დიზაინისა და საკონსულტაციო მომსახურებები სხვადასხვა სექტორში, როგორებიცაა: უძრავი ქონება, სამედიცინო, სამრეწველო და ინფრასტრუქტურა. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მ.ასათიანის ქ.10. შპს ელესჯი სოლუშენსის მისიაა სამშენებლო სექტორში საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება აშენებული ინფრასტრუქტურის ხარისხისა და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებით და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმიზაციის გზით, ეფექტური და ხარისხზე ორიენტირებული პროექტის მენეჯმენტით. კომპანიის 50 % იანი წილის მფლობელი და დირექტორია სოსო ბერიძე (პ/ნ 01024053313) , 25%-25% წილების მფლობელები არიან ლაშა მაჭავარიანი (პ/ნ 01024044741) და გიორგი გუჯეჯიანი (პ/ნ 62007007833) .

2. მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

კომპანია, სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს მსს ფასს-ების შესაბამისად, ლარში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-11 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითაროონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისათვის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

4 ძირითადი საშუალებები

	მიწა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ღირებულება						
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	-	54,063	64,413		69,606	188,082
დამატება	-	5,046	47,879		14,419	67,344
ჩამოწერა	-	-	-		-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	-	59,109	112,292		84,025	255,426
დამატება	-	11,379	99,006	107,855	7,799	226,039
ჩამოწერა	-	-	-		-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	-	70,488	211,298	107,855	91,824	481,465
დაგროვილი ცვეთა						
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	-	(6,535)	(4,972)		(8,413)	(19,920)
ცვეთის ხარჯი	-	(11,083)	(18,298)		(29,483)	(58,864)
შემცირება ჩამოწერის შედეგად	-	-	-		-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	-	(17,618)	(23,270)		(37,896)	(78,784)
ცვეთის ხარჯი	-	(13,456)	(33,040)	(1,798)	-	(48,294)
შემცირება ჩამოწერის შედეგად	-	-	-		-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	-	(31,074)	(56,310)	(1,798)	(37,896)	(127,078)
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2021	-	47,528	59,441	-	61,193	168,162
31 დეკემბერი 2022	-	41,491	89,022	-	46,129	176,642
31 დეკემბერი 2023	-	39,414	154,988	106,057	53,928	354,387

5 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები
Notes

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული	-	-	-
შეზღუდული ფული	-	72,524	125,784
ფული ბანკში ეროვნული ვალუტა	262,277	267,035	209,742
ფული ბანკში უცხოური ვალუტა	103,006	143,410	84,497
სულ	365,283	482,970	420,024

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური აქტივები			
მოთხოვნების საწარმო პერსონალის მიმართ*		-	-
სხვა მოთხოვნები	523,058	264,248	292,451
არაფინანსური აქტივები			
გაცემული ავანსები	12,633	20,160	32,385
სულ	535,691	284,408	324,835

7 მიღებული ავანსები

ავანსების ნაშთი სრულად წარმოდგენულია მომხმარებლებისგან სამშენებლო მენეჯმენტის სერვისისთვის წინასწარ მიღებულ თანხებად. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ნაშთი წარმოდგენილია შესაბამისად: 130 599 და 77 399 ლარი.

8 საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულად, როგორც ვალდებულება 66 119 ლარის ოდენობით (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც ვალდებულება 34 414 ლარის ოდენობით).

9 ამონაგები

შემოსავალი რეალიზაციიდან

	2023	2022	2021
შემოსავალი მომსახურებიდან	4,053,347	3,346,443	2,347,374
სხვა შემოსავალი	0	0	0
სულ	4,053,347	3,346,443	2,347,374

კომპანიის ძირითადი შემოსავლები მიღებული აქვს, სამშენებლო მენეჯმენტის, დიზაინისა და საკონსულტაციო მომსახურებების სხვადასხვა სექტორში, როგორებიცაა: უძრავი ქონება, სამედიცინო, სამრეწველო და ინფრასტრუქტურა, გაწევისგან

10 რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება

თვითღირებულების ხარჯები

	2023	2022	2021
თვითღირებულების ხარჯები	1,595,384	1,424,561	742,609
სხვა	-	-	-
სულ	1,595,384	1,424,561	742,609

11 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022	2021
შრომის ანაზღაურება	1,372,367	795,738	499,444
იჯარის ხარჯი	84,447	80,518	66,295
წარმომადგენლობითი ხარჯი	142,148	33,022	1,059
საოფისე ხარჯი	59,215	32,676	18,126
ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯი	55,829	37,913	9,776
ცვეთა და ამორტიზაცია	48,293	58,339	19,922
აიტი ხარჯები	46,537	-	-
მივლინების ხარჯი	46,106	12,342	12,312
პასუხისმგებლობის დაზღვევა	37,627	-	-
კომუნიკაციის ხარჯები			

	29,941	59,896	9,979
საწვავის ხარჯი	21,131	23,860	10,741
საკონსულტაციო ხარჯები	19,657	32,308	4,435
სხვა ხარჯი	18,816	36,599	21,980
კომუნალურების ხარჯი	10,596	11,062	7,580
ტრენინგების ხარჯი	5,339	-	-
ბანკის საკომისიო	3,260	7,113	4,453
	2,001,309	1,221,388	686,103

12 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებსა და უმაღლეს ხელმძღვანელობაში შემავალ პირებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

კომპანიას არ აქვს ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, გარდა უმაღლეს ხელმძღვანელ პირთა შრომის ანაზღაურებისა, რომელიც წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
უმაღლეს ხელმძღვანელ პირთა შრომის ანაზღაურება	(601220)	(847,025)

13 პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

13. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

იურიდიული საკითხები

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ.არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

14 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდსი შემდოგომ ანგარიშგების გამოცემის თარიღამე არ ვლინდება მნიშვნელოვანი ახალი ოპერაციები.

15 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთამორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6892	2.9753

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. კომპანია მომსახურებას გასწევს შემდეგი გადახდის სტანდარტული საკრედიტო პირობებით. მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. პროცენტიანი ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთდროულად.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	25
ოფისის აღჭურვილობა	2-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

ძირითადი საშუალებების სარემონტო დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ კაპიტალური დანახარჯების კრიტერიუმებს.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა. რისი შედეგის ასახვაც ხდება პერსპექტიულად. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და საბალანსო ღირებულებასთან შედარება. გაუფასურების დანახარჯის აღიარება ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „ფიფო" - პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში, ღირებულებით. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც

აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

გადასახადები

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვისაც გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2016 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ პერიოდში კომპანია ყველა გადასახადს იხდის ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების წარდგენილია ურთიერთგადახურვის საფუძველზე.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ამონაგები

ამონაგების განსაზღვრა ხდება საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგები წარმოდგენილია ფასდაკლებების გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როცა შემდეგი პირობებია შესრულებული:

- ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება

15. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევის დროს გაწეული ხარჯები აღიარდება შესაბამისი სარგებლის აღიარების პროპორციულად.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების

მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ხარჯი საოპერაციო იჯარიდან

კომპანია ქირაობს ფართებს თავისი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად და აკლასიფიცირებს, როგორც საოპერაციო იჯარას. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების სპეციფიკას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- კანონმდ- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);

ებლობიდან; ან

- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.